



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№4, 2018





კონკურსები

1. 2018 წლის 29 აგვისტოს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 – 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი - 1 000 000 ლარი). შემოვიდა 23 პროექტი და გადაეცა საექსპერტო კომისიის გამარჯვებულის გამოსავლენად.
2. 2018 წლის 27 ნოემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2019 წლის დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 900 000 ლარი). პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 25.01.2019 წ.
3. 2018 წლის 14 დეკემბერს გამოცხადდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების 2019-2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 1 000 000 ლარი). პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 12.03.2019 წ.
4. 2018 წლის 24 დეკემბერს გამოცხადდა მცირებიუჯეტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი - 450 000 ლარი). პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 14.05.2019 წელი.

მუშაობა:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდიო“ დირექტორი - რუსუდან ჭყონია, რეჟისორი - რუსუდან ჭყონია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფროდაქშენი“ დირექტორი - შოთა ბაშარული, რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „აზნაშ ლამანი“ (პროდიუსერი - შპს „ბი-აი-თი სტუდიო“ მარიამ ბიწაძე, რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „წრე“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე - რატი რეხვიაშვილი, რეჟისორი - ალექსანდრე რეხვიაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი - ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“ ანა ჩუბინიძე, რეჟისორი - ანა ჩუბინიძე);



“აღლუმი”



“ზოლემია”




“მინდვრის ყვავილები”

წარმოებაში:

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოსავალი“ (პროდიუსერი - ააიპ „სინემარკ“ დირექტორი - ნათია გულიაშვილი, რეჟისორი - მიხეილ ანთაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „თორმეტი გაკვეთილი“ (პროდიუსერი - ააიპ „მაკ“ ჯერეჯი ჯეიმს გასკილ, რეჟისორი გიორგი მრეველიშვილი);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ზამთრის დეპრესია” (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიმანიძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მკვდარი სულების არდადეგები“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ კონსტანტინე კალანდაძე, რეჟისორი - ეკატერინე ჭელიძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი - გიორგი ცხვედიანი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ზადურაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორ/ანიმატორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კვალი XXI“ ცოტნე კალანდაძე, რეჟისორ/ანიმატორი - მარი კაპანაძე);

მონტაჟი:

- მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ინგა” (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი”, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი - შპს „სოლოსოლო“ დირექტორი-ბესიკ სოლომანაშვილი, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კრიმანჭულის ქურდები“ (პროდიუსერი - შპს „აბკ სტუდია“, დირექტორი - კარლო ჩიხრაძე, რეჟისორი - ხათუნა ხუნდაძე);
სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოთარის სიკვდილი“ (პროდიუსერი - შპს „მაისის ფერი“ დირექტორი - ევა ბლონდი, რეჟისორი - იოსებ ბლიაძე);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როგორ გავხდეთ ქართველი“ (პროდიუსერი - შპს „ეზ ფილმ სტუდო“ გიორგი ჯეჯია, რეჟისორი - ნათია არაბული-ვეგერი);
სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „და სხვები“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 1,2,3“ გიორგი ტეტიშვილი, რეჟისორი - დავით გურგულია);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სინემანია“ (პროდიუსერი - შპს „აკრობატი“ დირექტორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი, რეჟისორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი);
- მხატვრული ფილმი „ჩემი სახლი ტყის პირას“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - თამარ შავგულიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გადასასვლელი“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი - ვაკო კირკიტაძე, რეჟისორი - თაზო ნავერიანი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზაფხული“ (პროდიუსერი - შპს „თეიქს ფილმი“ დირექტორი - ქეთევან დანელია, რეჟისორი - გიორგი მუხაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დამლაშებული პირსახოცები“ (პროდიუსერი - შპს „თეიქს ფილმი“ დირექტორი - ქეთევან დანელია, რეჟისორი - ალექსანდრე ქვირია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეხდაკრული“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი - ნიკოლოზ გუგუშვილი, რეჟისორი - გიორგი ქობალია);



“უცხო”



“საშლელი”



“მეოთხე ბრაიტონი”



“სანამ მამა დაბრუნდება”

- ქართულ - უცხოური კოპროდუქცია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ გავყიდოთ ომი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“ - დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რუდოლფ ჰერცოგი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილები“ (პროდიუსერი - „3003 ფილმ ფროდაქშენ“ მინდობილი პირი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - ლანა ლოლობერიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“ პაატა გომიაშვილი, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი - კ. კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მარქსის ქუჩა 12“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია კედარი“ - ირინე ჟორდანიას, რეჟისორი - ირინე ჟორდანიას);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცარიელი მაგიდა“ (პროდიუსერი - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“ დირექტორი - ქეთევან გალდავაძე, რეჟისორი - გიორგი ქობალიას);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი_ „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“ დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შინდისი“ (პროდიუსერი - შპს „თავისუფალი კინოსტუდია“, დირექტორი - ედმონდ მინაშვილი რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე)

- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (პროდიუსერი - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ (პროდიუსერი - შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია).
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დაკარგული რვანახევარი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ვახო ვარაზი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „წინ, წინაპრებისკენ! (პროდიუსერი - შპს „დიაფილმი“ დირექტორი - შორენა თევზაძე, რეჟისორი - შორენა თევზაძე).
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი „ღორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია).
- ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი - 43“ (პროდიუსერი - შპს „სინეტექი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი – „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - ანნა მიაპშიპა, რეჟისორი - ანნა მიაპშიპა).



“შეყვარებული ბაყაყი”

- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორები - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (პროდიუსერი - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).

დასრულდა:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი“ დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თევლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშლელი“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“, დირექტორი - დავით უჯმაჯურიძე, რეჟისორი - დავით ფირცხალავა). მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ტრაური“ (პროდიუსერი - ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“, დირექტორი - ზურაბ დიასამიძე, რეჟისორ/ანიმატორი - პეტრე თომაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუსი“ (პროდიუსერი - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).
- ერთობლივი ქართულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტონი“ (პროდიუსერი - შპს „Georgian International Films“ დირექტორი - მირზა დავითაია, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (პროდიუსერი - შპს „კინო იბერიკა“ დირექტორი - ლევან კოდუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოდუაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „წინ, წინაპრებისკენ!“ (პროდიუსერი - შპს „დიაფილმი“ დირექტორი - შორენა თევზაძე, რეჟისორი - შორენა თევზაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცუდი ხალხი“ (პროდიუსერი - „20 Steps Productions“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი თავართქილაძე).

ქართული კინო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე



Georgia
Made by Characters
Guest of Honour
Frankfurter Buchmesse 2018



ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, ეროვნული კინოცენტრი, გერმანიის კინომუზეუმთან (DeutschesFilmmuseum) და კინოსა და ვიდეოხელოვნების ინსტიტუტ – “არსენალთან” ერთად ქართული ფილმების რეტროსპექტივას მასპინძლობდა.

ჩვენებები და დისკუსიები მოიცავდა კლასიკურ პერიოდს – უხმო კინოდან საქართველოს მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. შედგა 20-ზე მეტი ფილმის ჩვენება, მათ შორის ავანგარდული უხმო კინოს ნიმუშების, როგორებიცაა კოტე მიქაბერიძის ფილმი „ჩემი ბებია“ (1929 წ.) და მიხეილ კალატოზიშვილის ფილმი „ჯიმშვანთე“ (1930 წ.).



განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის პერიოდში დამკვიდრებულ ე.წ. ფორმალიზმსა და ცენზურის გავლენას ქართულ კინოზე. ისაუბრეს რეჟისორების – მიხეილ ჭიაურელის, მიხეილ კალატოზიშვილის და ნიკოლოზ შენგელაიას შემოქმედებაზე. ასევე, 50-იანეთა თაობის რეჟისორებზე – თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე, ელდარ შენგელაია, ოთარ იოსელიანი, გიორგი შენგელაია, ლანა ლოლობერიძე... რომელთაც ახალი სიტყვა თქვეს ქართულ კინოში. გარდა სრულმეტრაჟიანი ფილმებისა, ნაჩვენები იყო დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა. მოეწყო ლექციები, შეხვედრები და მასტერკლასები ფილმების ავტორებთან.

ქართული კინოს რეტროსპექტივის პროგრამა:

1. „ბუზა“ – რეჟისორი ნუცა ლოლობერიძე
2. „ჯიმშვანთე“ – რეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი
3. „26 კომისარი“ – რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია
4. „ამბავი სურამის ციხისა“ – რეჟისორები სერგო ფარაჯანოვი და დოდო აბაშიძე
5. „ქორწილი“ – რეჟისორი მიხეილ კობახიძე
6. „დიდი მწვანე ველი“ – რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი
7. „ჩემი ბებია“ – კოტე მიქაბერიძე
8. „მაგდანას ლურჯა“ – რეჟისორები რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე
9. „ქოლგა“ – რეჟისორი მიხეილ კობახიძე
10. „ხაბარდა“ – რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი
11. „რანდენიძე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ – რეჟისორი ლანა ლოლობერიძე
12. „არსენა“ – რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი
13. „ვედრება“ – რეჟისორი თენგიზ აბულაძე



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



14. „მუსიკოსები“ – რეჟისორი მიხეილ კობახიძე
15. „იყო შაშვი მგალობელი“ – რეჟისორი ოთარ იოსელიანი
16. „აპრილი“ – რეჟისორი ოთარ იოსელიანი
17. „შერეკილები“ – რეჟისორი ელდარ შენგელაია
18. „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ – რეჟისორი ალექსანდრე რეხვიაშვილი
19. „ნუცა“ – რეჟისორი ალექსანდრე რეხვიაშვილი
20. „ფიროსმანი“ – რეჟისორი გიორგი შენგელაია
21. „დღე“ – რეჟისორი ლევან ლლონი
22. „ზღვარზე“ – რეჟისორი დიტო ცინცაძე
23. „არა მეგობობარო“ – რეჟისორი გიო მგელაძე

ფილმების ჩვენებები გერმანიის კინო მუზეუმში გაიმართა.

წიგნი კოტე მიქაბერიძის შესახებ

ქართული კინოს სეანსების პარალელურად, შედგა წიგნის პრეზენტაცია, რომელიც ცნობილი ქართველი კონორეჟისორის – კოტე მიქაბერიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. წიგნის ავტორია – სოსო დუმბაძე. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარსადგენად, წიგნი ინგლისურ ენაზე გამოიცა.

ანიმაციური ფილმი "ჯიბის კაცი"

ფრანკფურტის ბიბლიოთეკა Höchst მასპინძლობდა ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული ანიმაციური ფილმის „ჯიბისკაცი“ ჩვენებას და ფილმში გამოყენებული დეკორაციებისა და ილუსტრაციების გამოფენას.

ლანა ლოღობერიძე 90

13 ოქტომბერს ცნობილი ქართველი რეჟისორი – ლანა ლოღობერიძე 90 წლის გახდა. სპეციალურად ამ მოვლენის აღსანიშნავად, გერმანულმა მხარემ მიღება მოაწყო. ასევე, გაიმართა ლანა ლოღობერიძის წიგნის „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“ პრეზენტაცია, რომელიც გერმანულ ენაზე ითარგმნა.

საქართველო კოტბუსის კინოფესტივალის ფოკუსში

წელს საქართველო კოტბუსის კინოფესტივალის ფოკუსში იყო.

სექციაში Spotlight: Georgia შემდეგი ქართული ფილმები იყო წარმოდგენილი:

- გიორგი შენგელაიას “ალავერდობა”
- თორნიკე გოგრიჭიანის “ანდრო”
- მარიამ ხაჭვანის “დინოლა”
- გიორგი ოვაშვილის “ზღვის დონიდან”
- ლევან თუთბერიძის “მოირა”
- ზაზა ხალვაშის “ნამე”
- გიგიშა აბაშიძის “მეზობლები”
- გიო მგელაძის “არა, მეგობარო”
- ანა ურუშაძის “საშიში დედა”
- გიგა ხაინდრავას “დაცვის პოლიციელი”
- სანდრო სულაძის “თუთა”
- ნანა ექვთიმიშვილის “დედა”

აღსანიშნავია, რომ კოტბუსის კინოფესტივალის საერთაშორისო ჟიურის წევრი ქართველი რეჟისორი გიო მგელაძე იყო. ფესტივალის სტუმრებისთვის კი ქართული წვეულება გაიმართა.



ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალი

ტალინის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექციაში the 100-year-olds გიორგი შენგელაიას ფილმი “ფიროსმანი” აჩვენეს. კინოფესტივალზე ასევე წარმოდგენილი იყო გერმანული ფილმი The Bra, რომელსაც ქართველი პროდიუსერი ჰყავს - ციაკო აბესაძე. ფილმი საქართველოშია გადაღებული და აზერბაიჯანელი მემანქანის - კონკიას მიების ისტორიას ასახავს. ტალინში მაყურებელმა რატი წითელაძის “სოციალური პატიმარიც” იხილა, რომელიც მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციაში აჩვენეს.

ქართველი კინემატოგრაფისტები მონაწილეობას იღებდნენ ტალინის კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ ინდუსტრიულ პროგრამებშიც. კოპროდუქციის მარკეტზე ლადო ჩიხრაძე საუკეთესო პროდიუსერად დაასახელეს პროექტისთვის “ქორწილი ჩემს ქუჩაზე”. სცენარის განვითარების პროგრამა Script Pool-ში კი განვითარებისთვის მოხვდა გიორგი ვარსიმაშვილის პროექტი “ლიზა ბოზია”, რომელიც ამავე დროს მონაწილეობდა ფესტივალის ფიჩინგ ფორუმზე.

ქართული ფილმი "ჰორიზონტი" SOCHI INTERNATIONAL FILM FESTIVAL & AWARDS-ის გამარჯვებული გახდა

თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი "ჰორიზონტი", სადაც მთავარ როლებს ია სუხიტაშვილი და გიორგი ბოჭორიშვილი ასრულებენ, Sochi International Film Festival & Awards-ზე დააჯილდოვეს. "ჰორიზონტი" კინოფესტივალის მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა! ჯილდო სცენაზე ირაკლი კვირიკაძეს გადასცეს.

პრიზი აიღო "ჰორიზონტის" შემოქმედებითი ჯგუფის კიდევ ერთმა წევრმა - გიორგი გორდამაშვილი საუკეთესო დიზაინისთვის (Best Production Designer) დააჯილდოვდა.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნით ადრე "ჰორიზონტი" კიდევ ერთი მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა The Santa Fe Independent Film Festival-ზე.



ქართული ანიმაციური ფილმის "ჯინო" მორიგი წარმატება

არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი ქართული ანიმაციური ფილმი "ჯინო" კიდევ 2 საერთაშორისო პრიზის მფლობელი გახდა. დავით კიკნაველიძის ანიმაციას ლონდონში – South West London International Film Festival-ზე საუკეთესო ანიმაციური ფილმის ჯილდო გადაეცა, ხოლო სანქტ-პეტერბურგის კინოფესტივალზე International Environmental Film Festival Green Vision "ჯინო" მომავლის ოპტიმისტური ხედვისთვის დააჯილდოვეს (Prize in nomination For the Optimistic Vision of the Future.)

ASIA PACIFIC SCREEN AWARDS წელს ჟიურის ქართველი წევრი ყავდა

ავსტრალიის ქალაქ ბრისბანში ყოველწლიურად Asia Pacific Screen Awards-ის დაჯილდოვების ცერემონია იმართება, რომელსაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე აზიურ ოსკარსაც უწოდებენ. წელს გამარჯვებულების გამოვლენაში ქართველი პროდიუსერი - ვლადიმერ კაჭარავა იღებდა მონაწილეობას, რომელიც საერთაშორისო ჟიურის წევრი იყო. აღსანიშნავია, რომ დაჯილდოვების ერთ-ერთი ნომინანტი იყო ლეო გაბრიადის ფილმი "ჰარი-ჰარალე, დედაო!". იგი რეჟო გაბრიადის შესახებ მოგვითხრობს და საუკეთესო ანიმაციური ფილმის კატეგორიაში წარადგინეს.

საქართველო INTERNATIONALE KURZFILMTAGE WINTERTHUR-ის ფოკუსში

წელს, შვეიცარიაში, კინოფესტივალზე Internationale Kurzfilmtage Winterthur, საქართველო ფოკუს ქვეყნის სტატუსით იყო წარმოდგენილი. ქართული ფილმების რეტროსპექტივა 2 პროგრამაში - Recording Georgia და Impressions from Home აჩვენეს.

ფესტივალის ფარგლებში მაყურებელმა შემდეგი მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმები ნახა::

1. „აპრილის სუსხი“
2. „დადუმებულები“
3. „ლეთა“
4. „მამა“
5. „სამი საფეხური“
6. „ანასირმას სახარება“
7. „სოციუმის პატიმარი“
8. „აპოლო ჯავახეთი“
9. „ცურვა“
10. „აღმაშენებლის საქართველო“
11. „ზამთარი, რომელიც არ ყოფილა“

აღსანიშნავია, რომ რატი წითელაძის ფილმი „სოციუმის პატიმარი“ ფესტივალის საერთაშორისო კონკურსშიც იღებდა მონაწილეობას.

პროგრამაში Georgian Rebels წარმოდგენილი იყო 60 – 70 წლების ქართული კინო - „ალავერდობა“, „ქოლგა“, „აპრილი“.

დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფორუმი და ფესტივალი - IDOCS

ქართველი რეჟისორი მარიამ ჭაჭია ჩინეთში დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფორუმზე და ფესტივალზე - IDOCS მიიწვიეს.

iDOCS პირველი დამოუკიდებელი დოკუმენტური კინოს ფესტივალია ჩინეთში, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს მასშტაბით 20 საუკეთესო დოკუმენტურ ფილმს ირჩევს. მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმი „მოუსმინე სიჩუმეს“ წლევეანდელ რჩეულ ფილმებს შორის მოხვდა.

მარიამ ჭაჭია პეკინში ფილმის პროდიუსერთან ნიკ ვოიგთან ერთად გაემგზავრა, სადაც ფილმის წარდგენის გარდა, ადგილობრივი აუდიტორიისთვის სემინარი და ვორქშოფი ჩაატარა.

"დედე" ლუბლიანას საერთაშორისო კინოფესტივალზე

მარიამ ხაჭვანის არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ფილმი "დედე" ლუბლიანას საერთაშორისო კინოფესტივალის კონკურსში იღებდა მონაწილეობას.

"დედეს" ჩვენება 16 ნოემბერს შედგა და მას მსახიობები ნათია ვიბლიანი და სოფო ჩარკვიანი დაესწრნენ, მანამდე კი ფილმი Eastern Neighbours Film Festival-ზე იყო წარმოდგენილი.



"სანამ მამა დაბრუნდება"

კინოფესტივალზე FESTIVAL CINÉMA MÉDITERRANÉEN MONTPELLIER მარიამ გულბიანის ფილმი "სანამ მამა დაბრუნდება" დოკუმენტური ფილმების საკონკურსო სექციაში იყო წარმოდგენილი.

"დიალექტი"

Hof International Film Festival-ზე დავით გურგულიას ფილმი "დიალექტი" აჩვენეს. დავით გურგულია ახალგაზრდა ქართველი რეჟისორია, რომელიც ზაფხულში, კარლოვი ვარის კინოფესტივალზე, 10 ყველაზე იმედისმომცემ, ახალგაზრდა რეჟისორს შორის Future Frames ფარგლებში წარადგინეს.



ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალი

წელს თურქეთში, ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის წევრები რეჟისორი გიორგი ოვაშვილი, რეჟისორი ანა ურუშაძე და საქართველოს წარმომადგენელი "ევრიმაჟში" - თავკო ტატიშვილი იყვნენ.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა პანელ დისკუსია ქართულ-თურქული ერთობლივი წარმოების ხელშეწყობის მიზნით, რომელსაც ქართველი პროდიუსერები დაესწრნენ.

მოგვიანებით, ფესტივალის სტუმრებისთვის ქართული წვეულებაც მოეწყო, რომლის მასპინძელიც ეროვნული ცენტრი იყო.



იაპონიაში ქართული კინოს ფესტივალი გაიმართა

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისა და ქართული კინოს 110 წლის იუბილის პატივსაცემად, იაპონია ქართული კინოს ფესტივალს მასპინძლობდა რეტროსპექტივა 13-26 ოქტომბერს ტოკიოში მდებარე კინოთეატრ „ივანამი-ჰოლში“ გაიმართა. ნაჩვენები იყო შემდეგი ქართული ფილმები

- “ჩემი ბებია”
- “ჯიმ შვანთე”
- “ქეთო და კოტე”
- “ფიროსმანი”
- “დიდი მწვანე ველი”
- “დედუნა”
- “სუსა”
- “გაილიმეთ”
- “შემთხვევითი პაემნები”
- “სხვისი სახლი”
- “დედე”
- “ხიბულა”
- “აღსარება”
- “მზის ქალაქი”
- “საშიში დედა”
- “ანარეკლი”
- “მეიდანის - სამყაროს ჭიპი”

იაპონიაში ქართული კინოს ფესტივალის მოწყობის იდეა კინოთეატრ “ივანამი-ჰოლის” თანამშრომელს - ტაკეჰიდე ჰარადას ეკუთვნის. ჰარადა 40 წლის წინ გიორგი შენგელაიას ფილმით “ფიროსმანი” მოიხიბლა და ქართული კინემატოგრაფის უკეთ გასაცნობად საქართველოსაც კი ეწვია. ამჟამად იგი 65 წლისაა და სურს სამსახურიდან წასვლამდე იაპონელ მაყურებელს ქართული კინო გააცნოს.

2018 წელს ტაკეჰიდე ჰარადამ ქართული კინოსა და თეატრის შესახებ წიგნი გამოსცა, რამდენიმე თვის წინ კი ჰარადას ილუსტრაციებითა და იასუჰირო კოჯიმას თარგმანით ვაჟა-ფშაველას პოემებისა და მოთხრობების კრებულიც გამოიცა იაპონურ ენაზე.



თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

8 დეკემბერს, კინოთეატრ “ამირანში” გაიმართა თბილისის მე-19 საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვის ცერემონია, სადაც გამოვლინდა ფესტივალის გამარჯვებული ფილმები:

საერთაშორისო კონკურსი

- “ოქროს პრომეთე” (საუკეთესო ფილმი) - “ბროლის გედი” (ბელარუსი, აშშ, გერმანია, რუსეთის ფედერაცია, 2018), რეჟისორი: დარია ჟუკი;
- “ვერცხლის პრომეთე” (საუკეთესო რეჟისურა) - “მშვიდი ღამე” (პოლონეთი, 2018), რეჟისორი: პიოტრ დომალევსკი;
- ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა გადაეცა მარტინა აპოსტოლოვას, მთავარი როლისთვის ნადეჟდა კოსევას ფილმში „ირინა“, (ბულგარეთი, 2018);

“ქართული პანორამა”

- საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ქართული ფილმი - “აღლუმი”, რეჟისორი ნინო ჟვანია, (საქართველო, 2018);
- საუკეთესო დოკუმენტური ქართული ფილმი - “ლანჭი პაპას მოპარული ხარი”, რეჟისორები ელენე ნავერიანი და თომას რაიშლინი (საქართველო, 2018);
- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი - “საშლელი”, რეჟისორი დავით ფირცხალავა (საქართველო, 2018);
- ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა გადაეცა ფილმს “გამჭვირვალე სამყარო”, რეჟისორი ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი (საქართველო, 2018);



კინომცოდნეობისა და კინოკრიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ტრადიციულად დააჯილდოვა კონკურსის “წერე ქართულ კინოზე” გამარჯვებულები.

- I ადგილის მფლობელი - ლევან ცხოვრებაძე
- II ადგილის მფლობელი - ნინო შველიძე
- III ადგილის მფლობელი - გიორგი გეთიაშვილი

პირველ ადგილზე გასული სტუდენტი დაესწრება ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალს. კინოცენტრი მას დაუფინანსებს ფესტივალის აკრედიტაციას, მგზავრობის, დღიურ და სასტუმრო ხარჯებს. მეორე ადგილზე გასული სტუდენტი დაჯილდოვდება საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი წლის დაფინანსებით ან სტიპენდიით (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი).

მესამე ადგილზე გასული სტუდენტი დაჯილდოვდება საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი სემესტრის დაფინანსებით ან სტიპენდიით (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი).



EUROPEAN FILM AWARDS

15 დეკემბერს, ესპანეთში ევროპული კინოს დაჯილდოვების ცერემონია 31-ედ გაიმართა. გამარჯვებულებს შორის აღმოჩნდნენ ისეთი კინემატოგრაფისტები, როგორებიც არიან: პაველ პავლიკოვსკი, რალფ ფაინსი, ლუკას დონტი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კინოაკადემიის ნომინანტები იყვნენ ქართველი რეჟისორებიც. ანა ურუშაძე საუკეთესო დებიუტისთვის - “საშიში დედა” და რატი წითელაძე საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის “სოციალური პატიმარი”.

პრემიერები და რეჟისორები



ვაშინგტონში EORGIAN CONTEMPORARY FILM FESTIVAL გაიხარტა

ფესტივალს საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი ერთობლივად წარმოადგენდნენ.

ერთი კვირის მანძილზე ვაშინგტონი 6 ქართული ფილმის ჩვენებას და ფილმების ავტორებთან დისკუსიას მასპინძლობდა. ნაჩვენები იყო შემდეგი ქართული ფილმები:

- “ჩემი ბედნიერი ოჯახი” (რეჟისორები: ნანა & სიმონი)
- “არა, მეგობარო” (რეჟისორი: გიო მგელაძე)
- “დედე” (რეჟისორი: მარიამ ხაჭვანი)
- “სხვისი სახლი” (რეჟისორი: რუსუდან გლურჯიძე)
- “საშიში დედა” (რეჟისორი: ანა ურუშაძე)
- “შემთხვევითი პაემნები” (რეჟისორი ლევან კოლუაშვილი)

რუსუდან გლურჯიძის “სხვისი სახლი” საქართველოს კინოთეატრებში

წარმატებული საფესტივალო გზის შემდეგ, 25 ოქტომბერს კინოთეატრ „ამირანში“, რუსუდან გლურჯიძის ფილმის „სხვისი სახლი“ პრემიერა გაიმართა, რომელსაც მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ფილმის რეჟისორი და მსახიობები დაესწრნენ.

„სხვისი სახლი“ რუსუდან გლურჯიძის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. ფილმი ხანმოკლე, მაგრამ გამანადგურებელ ომში ფიზიკურად გადარჩენილი ორი აფხაზი ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. ისინი იკავებენ ქართველების ნაჩქარევად გამოთავისუფლებულ სახლებს, მაგრამ მშვიდობიან გარემოში ახალი ცხოვრების დაწყება არ შეუძლიათ. ომი ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძელდება.

„სხვისი სახლი“ საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთის და ხორვატიის კოპროდუქციაა. მთავარ როლებს სალომე დემურია, ზურაბ მაღალაშვილი, ია სუხიტაშვილი, ოლგა დიხოვიჩნაია, ეკატერინე ჯაფარიძე და საბინა ახმედოვა ასრულებენ.



ფილმის მსოფლიო პრემიერა კარლოვი ვარის საერთაშორისო ფესტივალზე გაიმართა და მას შემდეგ „სხვისი სახლი“ არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა.

თინათინ ყაჯრიშვილის "ჰორიზონტი" პრემიერა

13 დეკემბერს საქართველოს კინოთეატრებში თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი "ჰორიზონტი" გამოვიდა. პრემიერას კინემატოგრაფისტები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ფილმის მსოფლიო პრემიერა თებერვალში ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ფილმი მოგვითხრობს ყოფილ ცოლ ქმარზე. გიორგის და ანას - ორი ყველაზე ახლობელი ადამიანის დაშორების პროცესი, ერთი შეხედვით ჩუმად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. აფექტი და შოკი თითქმის გადალახულია, შეგუების ეტაპი იწელება და დაუსრულებელი ხდება. უცხო თვალისთვის გაუგებარი პროცესი მძიმე და მტკივნეული აღმოჩნდება გიორგისთვის.



"ნამე" ეკრანზე დაბრუნდა

საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე, ზაზა ხალვაშის მისტიური დრამა "ნამე" კინოთეატრ "ამირანში" ერთი კვირით დაბრუნდა!

„ნამეს“ პირველ ჩვენებას, 4 ოქტომბერს ფილმის გადამღები ჯგუფი დაესწრო მაყურებელს კი შესაძლებლობა ჰქონდა კითხვები დაესვა ფილმის ავტორებისათვის. დისკუსიას კინომცოდნე თეო ხატიაშვილი გაუძღვა.

პოლონური კინოს ფესტივალმა ქართული ფილმების რეპროსექციას უმასპინძლა

ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლონური კინოს ფესტივალი მიმდინარეობდა, სადაც ქართული ფილმების რეტროსპექტივა იყო წარმოდგენილი. წელს ფესტივალმა ქართული კინოს 110 წლის იუბილე 9 ქართული ფილმის ჩვენებით აღნიშნა, რომელთა ჩვენებაც 9 – 12 ნოემბერს 2 ლოკაციაზე გაიმართა.

პროგრამის ფარგლებში აჩვენეს შემდეგი ქართული ფილმები:

- მიხეილ კობახიძის "ქორწილი", "ქოლგა" და "მუსიკოსები"

- გიორგი შენგელაიას “ალავერდობა”
- რუსუდან გლურჯიძის “სხვისი სახლი”
- მარიამ ხაჭვანის “დედა”
- გიო მგელაძის “არა, მეგობარო”
- ანა ურუშაძის “საშიში დედა”
- ლევან კოლუაშვილის “შემთხვევითი პაემნები”

ქართული ფილმების რეტროსპექტივა ფესტივალზე საქართველოს ეროვნული კინოცენტრის და ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის მიერ იყო წარმოდგენილი.

ელდარ შენგელაიას ახალი ფილმის ჩვენება იაპონიაში 6 კვირის მანძილზე გაიმართება

ელდარ შენგელაიას მორიგი წარმატება - ტოკიოში ყველაზე პრესტიჟულ კინოთეატრ „ივანამი-ჰოლში“ პირველ დეკემბერს ელდარ შენგელაიას ახალი ფილმის „სავარძელი“ პრემიერა შედგა. ქართველი რეჟისორის ბოლო ნამუშევარს იაპონელი მაყურებელი 6 კვირის მანძილზე იხილავს. ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენებების დაწყებამდე, იაპონურმა მედიამ ელდარ შენგელაიასთან სკაიპით რამდენიმე ინტერვიუ ჩაწერა.



ზაზა ხალვაშის ფილმის “ნამე” ჩვენება კოპენჰაგენში

19 ნოემბერს, კოპენჰაგენში, კინოფესტივალის “East by Southeast” ფარგლებში, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩოსა და Danish Film Institute -ის ერთობლივი ძალისხმევით, გაიმართა ქართული ფილმის “ნამე”-ს ჩვენება. ფილმის დაწყებამდე, შეკრებილ მაყურებელს სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა, რომელმაც ისაუბრა ქართულ კულტურაში კინემატოგრაფიის როლზე. ასევე, გიგი გიგიაძემ ხაზი გაუსვა “ნამე”-ს შინაარსობრივ სიღმესა და სანახაობრივ სილამაზეს.

ფილმის დასრულების შემდეგ, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა მიღება. ზაზა ხალვაშის ნამუშევარმა შეკრებილი მაყურებლისა და დანიელი კინომცოდნეების დიდი მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ კოპენჰაგენის ჩვენებად “ნამე” Asian World Film Festival-ის საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი.

გიგია აბაშიძის ფილმის “მეზობლები” პრემიერა მაკედონიაში

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის - გიგია აბაშიძის ფილმის “მეზობლები” საპრემიერო ჩვენება მაკედონიაში, კინოფესტივალზე Cinedays შედგა. ფილმი საქართველო - მაკედონიის კოპროდუქციაა და მასში მთავარ როლებს თორნიკე გოგრიჭიანი, ია სუხიტაშვილი, გიორგი ბოჭორიშვილი, ნინო ქორიძე, თემურ ჭიჭინაძე, ეკა მჭავანაძე და დათო როინიშვილი ასრულებენ.

ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანია



ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანია

ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანიის ფარგლებში საქართველოს კანდიდატი ფილმის „ნამე“ პირველი ოფიციალური ჩვენება ლოს ანჯელესში 7 ნოემბერს გაიმართა.

დამატებით 2 ჩვენებას კი EFP (European Film Promotion) 11 და 15 ნოემბერს უწევდა ორგანიზებას. ჩვენებებს ამერიკის კინოაკადემიის წევრები, საერთაშორისო ბაიერები, კინოსფეროს წარმომადგენლები და ცნობილი უცხოური გამოცემების ჟურნალისტები დაესწრნენ.

ფილმის წარსადგენად ლოს ანჯელესში „ნამეს“ რეჟისორი ზაზა ხალვაში და ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი – მარისკა დიასამიძე გაემგზავრნენ. ჩვენებების დასრულების შემდეგ, მაცურებელს მათთან გასაუბრების შესაძლებლობა ჰქონდათ.

„ნამე“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომლის მსოფლიო პრემიერა ტოკიოს ა-კლასის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.



ეროვნულმა კინოცენტრმა ევროსაბჭოს კინოფონდ "ევრიმაჟის" სამუშაო სესიას უმასპინძლა

9-13 დეკემბერს ეროვნული კინოცენტრი ევროსაბჭოს კინოფონდ "ევრიმაჟის" 153-ე სესიას მასპინძლობდა. ღონისძიება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით დაიგეგმა. მსგავსი სესია წელიწადში მსოფლიოს მხოლოდ 4 ქალაქში იმართება და იგი მასპინძელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმიანი კინოღონისძიებაა.

სხდომაზე დასასწრებად თბილისში 37 ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი ჩამოვიდა, რომლებიც სხვადასხვა კინოფონდებს წარმოადგენენ და ძირითადად, ევროპულ კოპროდუქციას აფინანსებენ. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს პირველად ესტუმრა „ევრიმაჟის“ ახალი პრეზიდენტი – კატერინ ტრაუტმანი.

გაიმართა პანელ დისკუსია – ქალი რეჟისორები თანამედროვე ქართულ კინოში. ღონისძიება ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა ზურაბ მაღალაშვილმა „ევრიმაჟში“ საქართველოს წარმომადგენელთან – თამარ ტატიშვილთან ერთად გახსნა. დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ქალი რეჟისორები – თინათინ ყაჯრიშვილი, რუსუდან გლურჯიძე, ნინო ჟვანია, ანა ურუშაძე, სალომე ჯაში და პროდიუსერი ანა ძიაშვიძა.

ეროვნული კინოცენტრი ევროსაბჭოს კინოფონდის "ევრიმაჟი" წევრი ქვეყანა 2011 წელს გახდა. მას შემდეგ ქართული პროექტებისთვის 3 მილიონ ევროზე მეტია მოპოვებული – დაფინანსებულია 14 ფილმი და მოგებულია 3 განვითარების გრანტი.



ბერლინალეს სელექტორი – ნიკოლაი ნიკიტინი თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის სელექტორი ნიკოლაი ნიკიტინი თბილისს სამუშაო ვიზიტით სტუმრობდა. მან 3 დღის განმავლობაში 12 სრულმეტრაჟიანი და 8 მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი ნახა, რომელთა წარმოებაც ახლახანს დასრულდა.

წასვლამდე ნიკოლაი ნიკიტინი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილეს – მიხეილ გიორგაძეს შეხვდა და სამუშაო ვიზიტის შესახებ მისი შთაბეჭდილებები გაუზიარა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი – ნანა დოლიძე. ნიკოლაი ნიკიტინი წლებია ბერლინალეს დელეგატია, რომელიც კინოფესტივალისთვის აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონში შექმნილ ფილმებს არჩევს.

ოლივიე კატერინის სამუშაო ვიზიტი

თბილისში ცნობილი ფრანგი პროდიუსერი, ევროპული ანიმაციის ჯილდოს დამფუძნებელი, ფრანგული კინოფონდის „პიქტანოვოს“ ანიმაციის განყოფილების ხელმძღვანელი - ოლივიე კატერინი ჩამოვიდა.

მანეროვნულ კინოცენტრში 5 დღიანი ვორქშოპი ჩატარა - თუროგორ უნდა მომზადდეს ანიმაციური ფილმის პროექტი პრეზენტაციისათვის საერთაშორისო კინო ბაზრობებზე წარსადგენად.

გამარჯვებული ანესის ფესტივალის ექსპერტების მიერ შეირჩა და იგი ლილი დადიანი გახდა. ლილის შესაძლებლობა ექნება თავისი პროექტი წარადგინოს ანესის 2019 წლის ფესტივალზე.

პროექტის “ანესი - საქართველო” ფარგლებში ოლივიე კატერინი საქართველოში უკვე მეოთხედ იმყოფებოდა.



გადაიღე საქართველოში



ჰოლივუდური კინომწარმოებელი კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერებმა საქართველოში კინოგადაღების პოტენციალი და შესაძლებლობები სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” ხელმძღვანელთან - მიხეილ ხიდურელთან და ეროვნული კინოცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსთან - დავით ვაშაძესთან ერთად განიხილეს.

ლოს-ანჯელესში, პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ პოპულარიზაციის მიზნით, შეხვედრები ისეთ კომპანიებთან შედგა, როგორებიცაა: Disney Studios, ABC Studios, Cable Networks, Marvel Studios, Lucasfilm, Paramount pictures, HBO და Universal pictures.

მხარეებმა განიხილეს ყველა ის სამუშაო დეტალი, რომელიც გადაღებებს ახლავს თან, რამაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკული მხრიდან.

ინდუსტრიული პროგრამები

DIGITAL PRODUCTION CHALLENGE

საბერძნეთში ქალაქ ათენში ჩატარდა ფრანგული პროგრამა Digital Production Challenge, რომელშიც ხუთშერჩეულპროექტსშორისმოხვდაგიორგივარსიმაშვილისსცენარი “ლიზაბოზია” (პროდიუსერი სოფო ჟვანია).

პროგრამის ფარგლებში აღიარებულმა პროდიუსერებმა, ოპერატორებმა და სპეც. ეფექტების სუპერვაიზორებმა იმუშავეს ფილმის ვიზუალურ კონცეფციასა და დისტრიბუციის სტრატეგიაზე.

ქართული კინემატოგრაფისტები "ლისტაპადის" ფესტივალზე

შვედური განვითარების პროგრამაში B2B მონაწილეობდა ორი ქართული დოკუმენტური ფილმის პროექტი: “სცენა” (რეჟისორი - გიორგი ვარსიმაშვილი, პროდიუსერი - მარიამ ჭაჭია) და “სტალინი დღეს” (რეჟისორი ქეთი ნოზაძე, პროდიუსერი - სიმონე ბაუმანი).

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტური ფილმების პროგრამის ჟიურის წევრი ასევე ქართველი რეჟისორი - რატი ონელი იყო.

იკლავას საერთაშორისო კინოფესტივალი

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა იკლავას დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე სხვადასხვა ინდუსტრიულ პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა.

სექციაში East Silver წარმოდგენილი იყო დოკუმენტური ფილმის პროექტი “სიმართლისა და დღესასწაულის თეატრი” (რეჟისორი გიორგი ვარსიმაშვილი, პროდიუსერი - მარიამ ჭაჭია). ხოლო, სექციაში Ex Oriente მონაწილეობას იღებდა პროექტი “თაკარა მზეზე” (რეჟისორი შორენა თევზაძე).

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის “სინედოკ -თბილისი” საჯარო პრეზენტაცია.

შეხვედრა 85 წლის შემდეგ

27 დეკემბერს, საქართველოს ეროვნულ არქივში ცნობილი ქართველი კინორეჟისორის ლანა ლოღობერიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

საგანგებოდ ამ დღეს, 85 წლის შემდეგ პირველად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს ეროვნული არქივის ორგანიზებით, არქივის განახლებულ კინოდარბაზში ლანა ლოღობერიძის დედის, პირველი ქართველი ქალი რეჟისორის, ნუცა ლოღობერიძის ფილმის - „უჟმური“ პრემიერა მოეწყო. ფილმი ეკრანებზე პირველად 1934 წლის ბოლოს უჩვენეს, თუმცა, საბჭოთა ცენზურის გამო მისი საეკრანო ცხოვრება აღარ გაგრძელებულა.

ღონისძიებას დაესწრნენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე, ეროვნული არქივის დირექტორი თეონა იაშვილი და კინემატოგრაფიული წრის წარმომადგენლები.



ქართული კინოგაფილმოგრაფიის სამშობლოში დაბრუნების ისტორიული პროცესი გრძელდება

რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების პროცესი გრძელდება – საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ძალისხმევით, საქართველოს, „გოსფილმოფონდში“ დაცული, კიდეც, 7 ფილმი დაუბრუნდა.

მეოთხე ეტაპზე, ქართულ მხარეს ივანე პერესტიანის „არსენა ჯორჯიაშვილი“ (1921 წ.) და „სურამის ციხე“ (1923 წ.), ამო ბეკ-ნაზაროვის „მამის მკვლელები“ (1923 წ.), მიხეილ ჭიაურელის „ხაბარდა“ (1931 წ.), დავით რონდელის „დაკარგული სამოთხე“ (1937 წ.), გელა კანდელაკის „უბედურება“ (1980 წ.) და ნუცა ლოღობერიძის „უჩუბური“ (1934 წ.) გადაეცა.

ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოების ხარისხის კონტროლისა და სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით, სამუშაო ვიზიტით, ქალაქ მოსკოვში, პროექტის კურატორი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტის უფროსი ნანა დოლიძე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი და ამავე ცენტრის იურისტი თინათინ ჩავლეიშვილი იმყოფებოდნენ.

რუსეთიდან ქართული ფილმების პირველადი ასლების ჩამოტანა ეტაპობრივად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე საქართველოში უკვე 34 ქართული ფილმი დაბრუნებული. ფილმსაცავის აშენებამდე ისინი საქართველოს ეროვნულ არქივში იქნება დაცული.



პროექტი „საქართველოს გატანა“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, 2018 წელს სტუდია „მემატიანეში“ არსებული 12 000 ყუთი კინოფირის ტექნიკური დამუშავება, გაწმენდა და თითო მასალიდან 1 წუთის ციფრულ ფორმატში გადაყვანა მოხდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი და ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ესტუმრნენ და საარქივო მასალები დაათვალიერეს.

პროექტი გულისხმობს სტუდია „მემატიანეს“ არქივიდან კინოფირების (დოკუმენტური აუდიო და ვიზუალური მასალის) გაწმენდას, დახარისხებას, მათი მდგომარეობის დადგენას, აღრიცხვასა და მასალის ნაწილის ციფრულ ფორმატში გადატანას.

შესრულებულ სამუშაოებს ზედამხედველობას უწევს საგანგებო კომისია:

ზურა მაღალაშვილი – კინოცენტრის დირექტორი
გიორგი კალანდია – ხელოვნების სასახლის დირექტორი
ნინო მანძავა – ეროვნული არქივის წარმომადგენელი
ვერა ნიკოლაძე – ექსპერტი

ქართული კინოს ფორუმი

16-19 ნოემბერს ქუთაისი ქართული კინოს ფორუმს მასპინძლობდა, სადაც კინოფორუმის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ ის ქართული ფილმები, რომლებიც ახლახანს დასრულდა და ჯერ ფართო ეკრანებზე არ გამოსულა. პროგრამაში იყო, როგორც მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, ასევე მოკლემეტრაჟიანი ფილმების სპეციალური პროგრამა და ანიმაცია.

რამდენიმე დღის მანძილზე ქუთაისი კინომოყვარულთათვის ნამდვილი ეპიცენტრი გახდა, რადგან იქ თავი მოიყარეს ცნობილმა ქართველმა რეჟისორებმა, მსახიობებმა, პროდიუსერებმა, კინომცოდნეებმა და მედიის წარმომადგენლებმა.

კინოჩვენებების პარალელურად დაგეგმა კინოკრიტიკოსებისთვის და კინობლოგერებისთვის განკუთვნილი ვორქშოპი, რომელსაც ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპის წარმომადგენლობა საქართველოში“ უწევდა ორგანიზებას. ვორქშოპს სერბი კინოკრიტიკოსი, კინოჟურნალისტი და ფესტივალის პროგრამების კოორდინატორი – ვლადან პეტკოვიჩი უძღვებოდა.

ქუთაისის კინოფორუმს ეროვნული კინოცენტრი ქუთაისის მერიასთან თანამშრომლობით წარმოადგენდა. ორგანიზაციებს შორის მემორანდუმი სულ ახლახანს გაფორმდა.



"კინო სკოლაში" წლევანდელი სეზონი ინტელექტუალური თამაშით "რა? სად? როდის?" დაიხურა

„კინო სკოლაში“ წლევანდელი სეზონის შემაჯამებელი ღონისძიება ინტელექტუალური თამაშით „რა? სად? როდის?“ დაიხურა, რომელშიც 350 კინოსკოლელისგან შემდგარი 50 გუნდი ჩაერთო. თამაშის კითხვები სპეციალურად კინოსკოლელებისთვის კინოთემატიკის მიხედვით შედგა.



საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა:

პირველი ადგილი – ქუთაისის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

მეორე ადგილი – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა

მესამე ადგილი – მცხეთის №2 საჯარო სკოლა

ასევე, ღონისძიების ფარგლებში მოხდა სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული კინოსკოლელების დაჯილდოვება.

„კინო სკოლაში“ კინოგანათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტი უკვე მეხუთე წელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით წარმატებით მიმდინარეობს.

"ევრაზიადოკ 2018"-ის შედეგები ცნობილია

„ევრაზიადოკ 2018“-ის ინდუსტრიული შეხვედრების შედეგები ცნობილია. სომხეთში გამართულ დოკუმენტური პროექტების პრეზენტაციებზე, ქართველმა მონაწილეებმა შეძლეს მოწვეული ევროპელი პროდიუსერებისა და ტელევიზიების დაინტერესება. სომხეთში წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული პროექტები:

- ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი - "CINEMANIA"
- ნონა გიუნაშვილი - "AZNASH LAAMAN"
- ლუკა ბერაძე - "დიმილიანი საქართველო"

რეჟისორებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ ევროპელ პროდიუსერებს, ტელევიზიების წარმომადგენლებს და მათთვის საკუთარი პროექტები გაეცნოთ. შეხვედრები ქართველი რეჟისორებისთვის საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. რეჟისორებთან ერთად ერევანში იმყოფებოდნენ ქართველი პროდიუსერები და ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელი – მანანა სურაძე.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტონულ მისამართზე - info@gnfc.ge.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge